დანართი 19

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

საგანმანათლებლო პროგრამაში

ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურა

თბილისი 2024

მუხლი 1. პროცედურის მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯის შპს უსაფრთხოების აკადემიის (შემდგომში – აკადემია) საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში – პროგრამა) ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესს, შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და კოლეჯის ნორმატიულ აქტებთან.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

2.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამაში შესატანი ცვლილებების რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის საბჭოს;

2.2. კოლეჯის საბჭო განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს და აძლევს მითითებებს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს ან კოორდინატორს პროგრამაში ცვლილებების გათვალისწინების თაობაზე;

2.3. პროგრამაში ცვლილებების შეტანის ინიციატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, შეძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ან სხვა დაინტერესებული პირები, რომლებიც სფეროს განვითარების ტენდენციების, შრომის ბაზრის ან გარე შეფასების გათვალისწინებით კოლეჯის საბჭოს წარუდგენენ პროგრამის ცვლილებების დასაბუთებულ პროექტს;

2.4. კოლეჯის საბჭო განიხილავს პროექტს და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომლის დადებითი შეფასების საფუძველზე ამტკიცებს პროგრამაში შესატან ცვლილებებს;

2.5. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც ასახულია პროგრამაში გატარებული ცვლილებები.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან

3.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მოქმედ სტანდარტებთან, აგრეთვე - კოლეჯში მოქმედ რეგულაციებთან;

3.1. ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, პროგრამა თანდართული შენიშვნებით უბრუნდება პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს;

3.2. ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი მოდიფიცირებულ პროგრამას ხელახლა განსახილველად უბრუნებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა კოლეჯის საბჭოს;

3.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა წერილობით უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, რის შემდეგაც მხარეთა მოსაზრებებს განიხილავს კოლეჯის საბჭო.

მუხლი 4. პროგრამაში ცვლილებების დამტკიცება

4.1. კოლეჯის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ;

4.2. კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამაში ცვლილებების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის რექტორს.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

5.1. პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე, უნდა ემყარებოდეს: შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას და/ან რაოდენობრივი ინდიკატორის (პროგრამაზე ჩარიცხის დინამიკა, გარე მობილობით გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების სტატისტიკა, პროგრამის დადგენილ ვადაში დასრულების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვ.) შესწავლას და/ან პროგრამის მატერიალურ-ფინანსური და ადამიანური რესურსის შეფასებას;

5.2. კოლეჯის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის შესახებ და ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიმუშაოს რეკომენდაციები პროგრამის მოდიფიცირების შესახებ;

5.3. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაასრულოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი;

5.4. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი გამოსცემს იმ სტუდენტების სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანებას, რომლებიც ირიცხებიან აღნიშნულ პროგრამაზე;

5.5. ინფორმაცია სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში;

5.6. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გამოაცხადოს შიდა მობილობა და შესთავაზოს სტუდენტებს სხვა პროგრამაზე შიდამობილობის განხორციელება;

5.7. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი უარს იტყვის შიდა მობილობით სარგებლობაზე, მას უფლება აქვს ისარგებლოს გარე მობილობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.8. კოლეჯი ვალდებულია მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მობილობასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ;

5.9. კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის მიღების, მოდიფიცირების ან გაუქმების შესახებ ამტკიცებს რექტორი.